

შპს „კაიროს ლოჯისტიკი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია.....	4
2. მომზადების საფუძველი.....	4
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	4
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	8
5. ამონაგები მომსახურების გაწევიდან	8
6. მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები	9
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	9
8. ფინანსური ხარჯები.....	9
9. (ზარალი)/მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	9
10. ძირითადი საშუალებები	10
11. გაცემული სესხი.....	11
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11
13. ფული და ფულის ექვივალენტები	11
14. კაპიტალი	11
15. მიღებული სესხები	11
16. ფინანსური იჯარის ვალდებულება.....	11
17. გადასახადები.....	12
18. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები.....	12

შპს “კაიროს ლოჯისტიკი”

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2023 (არააუდიტირებული)	2022 (არააუდიტირებული)
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	5	50,018,083	43,412,971
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები	6	(43,198,298)	(39,972,497)
საერთო მოგება		6,819,785	3,440,474
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(4,718,432)	(3,242,107)
კომერციული ხარჯები		(60,428)	(57,063)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(392,349)	(100,331)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		442,450	130,226
საოპერაციო მოგება		2,091,026	171,199
ფინანსური შემოსავალი		240,272	199,512
ფინანსური ხარჯები	8	(352,682)	(167,269)
(ზარალი)/მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	9	(88,978)	373,625
მოგება დაბეგვრამდე		1,889,638	577,067
მოგების გადასახადი		(8,535)	(53,716)
წლის სრული შემოსავალი		1,881,103	523,351

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 4 აპრილს:

მიხეილ ნამადოვი
დირექტორი

შპს "კაიროს ლოჯისტიკი"

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2023 (არააუდიტირებული)	2022 (არააუდიტირებული)
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	5	50,018,083	43,412,971
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული			
პირდაპირი დანახარჯები	6	(43,198,298)	(39,972,497)
საერთო მოგება		6,819,785	3,440,474
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(4,718,432)	(3,242,107)
კომერციული ხარჯები		(60,428)	(57,063)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(392,349)	(100,331)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		442,450	130,226
საოპერაციო მოგება		2,091,026	171,199
ფინანსური შემოსავალი		240,272	199,512
ფინანსური ხარჯები	8	(352,682)	(167,269)
(ზარალი)/მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	9	(88,978)	373,625
მოგება დაბეგვრამდე		1,889,638	577,067
მოგების გადასახადი		(8,535)	(53,716)
წლის სრული შემოსავალი		1,881,103	523,351

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 4 აპრილს:

მ. ნამადოვი

მიხეილ ნამადოვი
დირექტორი



შპს “კაიროს ლოჯისტიკი”

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023 (არააუდიტირებული)	31 დეკემბერი 2022 (არააუდიტირებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	4,441,370	2,449,999
არამატერიალური აქტივები		10,547	27,703
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,451,917	2,477,702
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		1,542	3,486
გაცემული სესხები	11	2,631,285	2,140,434
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	4,758,731	2,682,300
ფული და ფულის ექვივალენტები	13	208,374	1,437,114
სულ მიმდინარე აქტივები		7,599,932	6,263,334
სულ აქტივები		12,051,849	8,741,036
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	14	74,486	100,966
გაუნაწილებელი მოგება	14	3,348,478	1,515,739
სულ კაპიტალი		3,422,964	1,616,705
გრძელვადიანი სესხები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება	15	2,518,526	857,595
ფინანსური იჯარის ვალდებულება	16	299,766	186,809
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,818,292	1,044,404
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	15	3,425,603	2,375,725
ფინანსური იჯარის მიმდინარე ვალდებულება	16	224,943	121,927
საგადასახადო ვალდებულებები	17	76,174	81,798
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	18	2,083,873	3,500,477
სულ მიმდინარე ვალდებულებები		5,810,593	6,079,927
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		12,051,849	8,741,036

შპს “კაიროს ლოჯისტიკი”

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(არააუდიტირებული)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2021	70,815	1,296,779	1,367,594
მიმდინარე წლის სრული მოგება	-	523,351	523,351
დივიდენდის გამოცხადება	-	(304,391)	(304,391)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	30,151	-	30,151
31 დეკემბერი 2022	100,966	1,515,739	1,616,705
მიმდინარე წლის სრული მოგება	-	1,881,103	1,881,103
დივიდენდის გამოცხადება	-	(48,364)	(48,364)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(26,480)	-	(26,480)
31 დეკემბერი 2023	74,486	3,348,478	3,422,964

შპს „კაიროს ლოჯისტიკი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „კაიროს ლოჯისტიკი“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა 2013 წლის 3 აპრილს და არსებობს როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404984781.

ძირითადი საქმიანობა. შპს „კაიროს ლოჯისტიკი“ წარმოადგენს საერთაშორისო სატრანსპორტო კომპანიას. კომპანია უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის მომსახურებებს: ლოჯისტიკური; ადგილობრივი გადაზიდვები; ტვირთის საერთაშორისო გადაზიდვები საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო ტრანსპორტირების გზით. 2023 წლის განმავლობაში კომპანიაში დასაქმებული იყო 50 თანამშრომელი.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზ., N32ა, ბ. N60.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის კომპანიის მეწილეები იყვნენ:

- მიხეილ ნამადოვი - 30%
- ეკატერინე ციხისელი - 30%
- ლევან ცქიტიშვილი - 20%
- თეიმურაზ ლაცაბიძე - 20%

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბერი	2.9753	2.6894
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალი რისკის მქონე ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარჩების გამოკლებით. კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვის აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი.

გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და

მოგება ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, ამონაგები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
 - ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
 - მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
 - არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ
- სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. ამონაგები მომსახურების გაწევიდან

	2023	2022
ამონაგები საერთაშორისო გადაზიდვის მომსახურებიდან	48,460,471	41,593,547
ამონაგები სატრანსპორტო საშუალების იჯარიდან	358,292	276,767
ამონაგები შიდა გადაზიდვის მომსახურებიდან	255,788	372,934
ამონაგები სხვა მომსახურებიდან	943,532	1,169,723
სულ ამონაგები მომსახურების გაწევიდან	50,018,083	43,412,971

შპს “კაიროს ლოჯისტიკი”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

6. მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები

	2023	2022
საერთაშორისო გადაზიდვის მომსახურების ხარჯები	(40,983,008)	(38,124,571)
ტვირთის დაზღვევის ხარჯები	(340,623)	(211,674)
საიჯარო მომსახურების ხარჯები	(320,910)	(299,822)
შიდა გადაზიდვის მომსახურების ხარჯები	(222,842)	(228,809)
მომსახურების სხვა ხარჯები	(1,330,915)	(1,107,621)
სულ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები	(43,198,298)	(39,972,497)

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
შრომის ანაზღაურება	(3,723,680)	(2,506,277)
იჯარის ხარჯი	(288,817)	(180,136)
ცვეთა და ამორტიზაცია	(103,077)	(68,835)
საპენსიოს ხარჯი	(70,436)	(48,010)
ბანკის საკომისიოს ხარჯი	(69,471)	(43,395)
მივლინების ხარჯები	(40,117)	(38,913)
კომუნიკაციის ხარჯები	(37,059)	(34,574)
დაზღვევის ხარჯები	(33,586)	(26,585)
საწვავის ხარჯი	(32,811)	(44,864)
საგადასახადო ხარჯი	(31,335)	(22,980)
საკონსულტაციო ხარჯები	(28,573)	(32,237)
კომუნალური ხარჯები	(10,381)	(13,176)
სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(249,089)	(182,125)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(4,718,432)	(3,242,107)

8. ფინანსური ხარჯები

	2023	2022
სესხების საპროცენტო ხარჯი	(288,441)	(96,031)
ფინანსური იჯარის პროცენტის ხარჯები	(64,241)	(71,238)
სულ ფინანსური ხარჯები	(352,682)	(167,269)

9. (ზარალი)/მოგება სავალუტო ოპერაციებიდან

	2023	2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	77,900	(127,116)
გრძელვადიანი სესხები	44,125	438,002
ფული და ფულის ექვივალენტები	(147,966)	(171,092)
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(63,037)	232,378
გაცემული სესხები	-	1,453
სულ (ზარალი)/მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	(88,978)	373,625

შპს “კაიროს ლოჯისტიკი”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	საიჯარო აქტივი საკუთრების გადაცემის პირობით	სულ
31 დეკემბერი 2021	54,755	367,887	8,280	146,776	63,207	1,181,691	927,758	2,750,354
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	-	-	39,198	32,313	32,321	231,231	335,063
გასვლა	-	-	-	(1,568)	-	-	(43,077)	(44,645)
31 დეკემბერი 2022	54,755	367,887	8,280	184,406	95,520	1,214,012	1,115,912	3,040,772
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	1,708,990	-	46,408	17,261	268,879	497,341	2,538,879
გასვლა	-	-	-	-	-	(143,180)	(160,491)	(303,671)
31 დეკემბერი 2023	54,755	2,076,877	8,280	230,814	112,781	1,339,711	1,452,762	5,275,980
დაგროვილი ცვეთა								
31 დეკემბერი 2021	-	(65,872)	(6,113)	(70,628)	(25,749)	(136,015)	(63,659)	(368,036)
წლის დარიცხული ცვეთა	-	(15,101)	(434)	(18,793)	(7,968)	(35,622)	(155,948)	(233,866)
გასვლები	-	-	-	-	-	-	11,129	11,129
31 დეკემბერი 2022	-	(80,973)	(6,547)	(89,421)	(33,717)	(171,637)	(208,478)	(590,773)
წლის დარიცხული ცვეთა	-	(28,626)	(347)	(25,050)	(13,046)	(60,424)	(169,572)	(297,065)
გასვლები	-	-	-	-	-	18,437	34,791	53,228
31 დეკემბერი 2023	-	(109,599)	(6,894)	(114,471)	(46,763)	(213,624)	(343,259)	(834,610)
საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2022	54,755	286,914	1,733	94,985	61,803	1,042,375	907,434	2,449,999
31 დეკემბერი 2023	54,755	1,967,278	1,386	116,343	66,018	1,126,087	1,109,503	4,441,370

შპს “კაიროს ლოჯისტიკი”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. გაცემული სესხი

გაცემული სესხები წარმოადგენს იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხს ეროვნულ ვალუტაში.

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო მოთხოვნები	3,833,781	2,086,865
მოკლევადიანი ავანსები	695,233	529,022
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	229,717	66,413
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,758,731	2,682,300

13. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო დაწესებულებებში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში არსებულ ფულს.

14. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი 2023 წლის ბოლოს შეადგენს 74,486 ლარს (2022: 100,966). ინფორმაცია კომპანიის მეწილეების შესახებ მოცემულია პირველ შენიშვნაში.

2023 წლის განმავლობაში კომპანიაში გამოცხადდა და გაიცა დივიდენდი 48,364 ლარის ოდენობით (2022: 304,391).

15. მიღებული სესხები

მიღებული სესხები სრულად წარმოადგენს საფინანსო ინსტიტუტებისგან ნასესხებ ფულად სახსრებს. მოკლევადიანი სესხი წარმოადგენს გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილს, რომელიც უნდა დაიფაროს ერთი წლის განმავლობაში.

16. ფინანსური იჯარის ვალდებულება

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელების მთლიანი თანხა:		
არა უგვიანეს ერთი წლისა	285,881	156,469
ერთი წლის შემდეგ და არა უგვიანეს ხუთი წლისა	331,197	210,456
ხუთი წლის შემდეგ	-	-
სულ მინიმალური გადასახდელები	617,078	366,925
გამოკლებული: ფინანსური ხარჯები	(92,369)	(58,189)
სულ ფინანსური იჯარის ვალდებულებები	524,709	308,736
ფინანსური იჯარის ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	224,943	121,927
ფინანსური იჯარის ვალდებულების გრძელვადიანი ნაწილი	299,766	186,809

შპს “კაიროს ლოჯისტიკი”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

17. გადასახადები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

18. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო ვალდებულებები	1,648,780	2,532,910
მიღებული ავანსები	327,102	804,913
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	107,991	162,654
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	2,083,873	3,500,477